საქმე №2/3067-11

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ

„29" მარტი 2011 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი სულაკაძე

განმცხადებლები (მოსარჩელეები): – მიხეილ ტაბლიაშვილი, თამარ ცელთაური, თამარ ბერიძე, თამარ ხიჭეიანი, ნინო ქაჯაია, თინათინ ლექვინაძე, რეგა'ს ახრახაძე

მოპასუხე: – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ბაგები 504"

დავის საგანი: – თანხის გადახდის დაკისრება

მოთხოვნა: – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მიხეილ ტაბლიაშვილის და სხვათა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2011 წლის 28 მარტს მიხეილ ტაბლიაშვილმა, თამარ ცელთაურმა, თამარ ბერიძემ, თამარ ხიჭეიანმა, ნინო ქაჯაიამ, თინათინ ლექვინაძემ, რეგა'ს ახრახაძემ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ბაგები 504"-ის მიმართ თანხის გადახდის დაკისრების შესახებ, ამასთან სარჩელშიეე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ბაგები 504"-ის კუთვნილი უძრავი ქონების დაყადაღება, ვინაიდან საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა დასაშვებია მხოლოდ აღნიშნულით და მისი გასხვისების შემთხვევაში კი გართულდება ან საერთოდ შეუძლებელი გახდება გადაწყვეტილების აღსრულება.

სასამართლომ განიხილა მიხეილ ტაბლიაშვილის, თამარ ცელთაურის, თამარ ბერიძის, თამარ ხიჭეიანის, ნინო ქაჯაიას, თინათინ ლექვინაძის, რეგა'ს ახრახაძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე, მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ.

დადგენილია, რომ განცხადებით მისი ავტორი ითხოვს ყადაღის დადებას [illegible] მდებარე ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე, ავტოგასამართი სადგურის [illegible]

იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადებას, რომლითაც [illegible] ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა ერთვოდეს ცნობა საჯარო რეგისტრის [illegible] დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. მოსარჩელე [illegible] მოსარჩელეებს წარმოდგენილი აქვს საჯარო რეესტრის [illegible] დასტურდება, მოპასუხის საკუთრების უფლება დასაყადაღებელ ნივთზე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება

უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეების ჩამონათვალს. კანონი არ აწესრიგებს, თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ღონისძიება უნდა გამოიყენოს სასამართლომ. ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ იმის მიხედვით, თუ როგორია სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საკმაოდ დიდი ოდენობის თანხის გადახდის დაკისრება. რაც თავისი არით არის მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებადი სარჩელი. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე (როგორც ეს აღიარებითი სარჩელების შემთხვევაშია), არამედ ასევე მოპასუხის ნებაზე – მოპასუხემ უნდა განახორციელოს გარკვეული მოქმედება – თანხის გადახდაზე. ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება.

თუკი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს მოსარჩელის დაკმაყოფილების საშუალებამ, ვითარება მისი რეალიზაციის გამო, გადაწყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადაწყვეტილებად. სასამართლოს ვალდა არა მხოლოდ სწორად და ობიექტურად გადაწყვიტოს დავა მხარეებს შორის, არამედ უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილება აღუსრულებლობისაგან, რადგან სწორად აღსრულებული, სისრულეში მოყვანილი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელება.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება-არგამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო არ ამოწმებს, რამდენად დასაბუთებულია სარჩელი, რამდენად გამომდინარეობს მის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, ანუ დასაკმაყოფილებელია თუ არა სარჩელი. სასამართლო ამოწმებს მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი, მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე.

ამდენად, მიხეილ ტაბლიაშვილის, თამარ ველთაურის, თამარ ბერიძის, თამარ ხიჭეიანის, ნინო ქაჯაიას, თინათინ ლექვინაძის, რევაზ ახრახაძის განცხადებამ სასამართლოს შეუქმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით შეიძლება საფრთხე შეუქმნას გადაწყვეტილების აღსრულებას, ამიტომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 192-193-ე, 194-ე, 198-ე, 199-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მიხეილ ტაბლიაშვილის, თამარ ველთაურის, თამარ ბერიძის, თამარ ხიჭეიანის, ნინო ქაჯაიას, თინათინ ლექვინაძის, რევაზ ახრახაძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. ყადაღა დაედოს მოპასუხე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ბაღები 504"-ის (რეგ. №205071045) კუთვნილ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე, აეროგასამართი სადგურის პირდაპირ (საკადასტრო კოდი №01.14.14.003.122.)

3. განემარტოს განმცხადებელს, რომ თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მა'მინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებათა შედეგად;

4. განჩინება აღსრულდეს დაუყოვნებლივ;

5. განჩინებაზე მოპასუხეს შეუძლია შემოიტანოს საჩივარი განჩინების გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კილომეტრი, №6).

მოსამართლე გიორგი სულაკაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **N 01.14.14.003.122**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018245078 - 22/03/2018 15:52:04

მომზადების თარიღი
22/03/2018 16:29:05

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	14	14	003/122

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , ავტოგასამართი სადგურის პირდაპირ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 10998.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**3;01.14.14.003.030;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N3 ხოლო N1 და N2 (მშენებარე)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012113011 , თარიღი 19/03/2012 13:55:01
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/03/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 6 თებერვალს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა
- სანოტარო წესით 2005 წლის 24 მაისს დამოწმებული ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) შესახებ (რეესტრის N1-5351; ნოტარიუსი მ. ბრეგვაძე).
- ბრძანება. N325 , დამოწმების თარიღი:30/11/2007 , ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური
- შენებლობის ნებართვა. N6/40 , დამოწმების თარიღი:26/01/2007 , ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური
- ბრძანება. N20/508 , დამოწმების თარიღი:28/06/2006 , ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

მესაკუთრეები:
ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ბაგები-504", ID ნომერი:205071045

მესაკუთრე:
ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ბაგები-504"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

- ყადაღა: **102011032840 30/03/2011 16:30:30**

ბინათმშენებლობის ამხანაგობა 'ბაგები 504' ს/ნ 205071045
საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ყიფშიძე, ავტოგასამართი სადგურის პირდაპირ, 01.14.14.003.122**
საფუძველი: **განჩინება, N2/3067-11, 29.03.2011, თბილისი საქალაქო სასამრთლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge